ფონდი კრისტალი
CRYSTAL FUND

წლიური ანგარიში
ANNUAL REPORT 2013

www.crystalfund.ge

შინაარსი
CONTENT

თავმჯდომარის მისალმება	2	Welcome by Chairman
ისტორია	3	History
ხედვა	4	Vision
ღირებულებები	4	Values
მისია	5	Mission
მმართველობა	6	Management
განხორციელებული პროექტები	8	Implemented Projects
ვებგვერდი	10	Website
პუბლიკაციები	10	Publications
დაფინანსება	11	Funding
ფინანსური აუდიტის დასკვნა	12	Financial Auditor's Report
სამომავლო გეგმები	16	Future Plans

თავმჯდომარის მისალმება
Welcome by Chairman

ფონდი „კრისტალი“ წარმატებით აგრძელებს იმ მნიშვნელოვან სამუშაოს, რომელსაც ის ასრულებდა დაფუძნებიდან პირველი ათწლეულის განმავლობაში. დღეისათვის ის ჩამოყალიბდა სრულყოფილად ფუნქციონირებად, მკაფიო მისიისა და მიზნების მქონე ორგანიზაციად. 2009 წლიდან ფონდი ფოკუსირებული იყო ახალი ტექნოლოგიების როლზე ფინანსური მომსახურების ხელმისაწვდომობის ამაღლებაში. 2013 წელს შეიქმნა ფინანსური განათლების ინიციატივა. მის ფარგლებში გამოიცა ფინანსური განათლების გზამკვლევი, დაიწყო დისკუსია დაინტერესებულ მხარეებთან, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის ფინანსური ცოდნის ამაღლებას, მომხმარებელთა უფლებების დაცვას და ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომის გაუმჯობესებას. შარშან ასევე წარმატებით დაიწყო სოციალური ინვესტიციების ინიციატივა, რომელიც მუშაობს ნდობის აღდგენის საკითხებზე. შესწავლილ იქნა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებები და დაფინანსდა მცირე ზომის საგრანტო პროექტები. საფუძველი ჩაეყარა ფონდის ახალ პროგრამას, რომელიც მიზნად ისახავს საკუთრების უფლებების დაცვასა და ბიზნესისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას საქართველოში. აღსანიშნავია, რომ 2013 წელს გაგრძელდა ფონდის ორგანიზაციული განვითარების პროცესი, გაიზარდა ფონდის გამგეობა და ამაღლდა ანგარიშგებისა და გამჭვირვალობის სტანდარტები. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ფონდი "კრისტალის" გუნდს, ყველა პარტნიორსა და მხარდამჭერს!

არჩილ ბაკურაძე
თავმჯდომარე

In a decade since its inception, Crystal Fund has made a significant progress in fostering its goals. To date it has evolved into a fully functioning organisation with a clear mission and a set of objectives. Since 2009, Crystal Fund was focused on the role of new technologies in enhancing access to financial services. In 2013, Crystal Fund launched the Financial Literacy Initiative. We improved the financial literacy module, created guidelines and commenced a discussion with stakeholders, aiming to improve access to financial education and independent financial advice, to ensure the protection of consumer rights as well as to enhance the access to financial services. Last year Crystal Fund has successfully started its Social Investment Initiative focused on confidence building. We have undertaken the needs assessment of a population in the conflict zones and financed small-sized grant projects. Crystal Fund put a foundation for its new programme supporting the protection of property rights and business freedoms in Georgia. It is noteworthy, that we successfully continued the organisational development of Crystal Fund by bringing a new member to the Board and by increasing the accountability and transparency standards. I would like to use this opportunity to express my sincere gratitude to Crystal Fund's team, partners and all stakeholders for their continued support!

Archil Bakuradze
Chairman

ფონდის ისტორია
History of the fund

ფონდი „კრისტალი“ არამომგებიანი ორგანიზაციაა, რომელიც შეიქმნა 2004 წელს იძულებით გადაადგილებულ პირებზე ორიენტირებული, ერთერთი წამყვანი ორგანიზაციის - საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი “აფხაზეთის“ (სჰცა) მიკროსაფინანსო პროგრამის საფუძველზე. დაარსების მომენტიდან ფონდი კრისტალის ერთადერთ საქმიანობას მიკროფინანსები წარმოადგენდა. 2004 წელს ფონდი კრისტალი დარეგისტრირდა და ფუნქციონირებდა როგორც სპეციალიზებული მიკროსაფინანსო ფონდი, მანამ სანამ 2007 წელს მოხდა მისი მთლიანი საქმიანობის გადაცემა ს.ს. მისო „კრისტალისთვის“. აღნიშნულ ეტაპზე ფონდი კრისტალის მისია შეცვალა და ორგანიზაციის ძირითადი მიზანი გახდა მოწყვლადი ჯგუფების თვითკმარობის ამაღლება და სიღარიბის შემცირება საქართველოში. მოგვიანებით, ფონდი „კრისტალის“ ერთერთ მთავარ საქმიანობად იქცა ფინანსური ჩართულობა, ტექნოლოგიების როლი ფინანსებზე ხელმისაწვდომობაში და ფინანსური განათლება.

Crystal Fund is a not-for-profit organization, established in 2003 on the basis of the Micro-Lending Programme of the Charity Humanitarian Centre "Abkhazeti" (CHCA), the premier national NGO assisting the displaced people. Since its inception, Crystal Fund's sole activity was microfinance. In 2004 Crystal Fund was registered as a specialized microfinance fund, until 2007, when the entire business operation was transferred to the JSC MFO Crystal. At this point, the Crystal Fund changed its mission in order to focus on strengthening the self-reliance of vulnerable groups and contributing towards poverty reduction in Georgia. On the later stage the strategy of Crystal Fund targeted financial inclusion, the role of technology in access to finance as well as financial education.

1998-2004
CHCA Microlending Program

2004
Spin-off into Crystal Fund

2004-2007
Specialised microfinance foundation

2007 onwards
Transformation into JSC Crystal Fund's new mission

ხედვა

ფონდი კრისტალის ხედვაა საქართველოში ეკონომიკურად გამართული, მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოება.

Vision

The vision of Crystal Fund is economically prosperous, peaceful and just society in Georgia.

ღირებულებები

ფონდის სამი ძირითადი ღირებულებაა:

- კანონის უზენაესობა
- ფინანსური მომსახურების ჯანსაღობა
- პასუხისმგებლიანი ბიზნეს პრაქტიკა

Values

Three core values of the Fund are:

- Supremacy of the rule of law
- Integrity in financial services
- Responsible business practices

მისია

ჩვენი მისიაა ავამაღლოთ ფინანსური განათლების დონე, ფინანსური მომსახურების სტანდარტები, ხელი შევუწყოთ ახალი ტექნოლოგიების განვითარებას ფინანსურ მომსახურებაზე უკეთესი წვდომისათვის და განვახორციელოთ სოციალური ინვესტიციები. ფონდი "კრისტალი" მხარს უჭერს სამართლის უზენაესობის დამკვიდრებას, საკუთრების უფლებების დაცვასა და ბიზნესისთვის ხელშემწყობი გარემოს ჩამოყალიბებას საქართველოში. ფონდს გააჩნია საგრანტო პროექტების მართვის მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც ეფუძნება მმართველობის მაღალ სტანდარტებს და შესაბამისად განვითარებულ ორგანიზაციულ სისტემებსა და პროცედურებს.

Mission

Our mission is to increase the financial literacy in Georgia, bolster standards in the provision of financial services, develop new technologies to enhance access to financial services and to implement social and community investment projects. Crystal Fund is actively promoting the rule of law, protection of property rights and advocates for the enabling business environment in Georgia. Crystal Fund has solid grant and project management experience combined with high standards in governance, rigorous organisational systems and procedures.

მმართველობა
Management

არჩილ ბაკურაძე
Archil Bakuradze

ფონდის გამგეობის თავმჯდომარე. ფინანსისტი და ბიზნესმენი, ს.ს. მისო „კრისტალის“ დამაარსებელი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 2013 წლიდან არჩილი საქართველოს მიკროსაფინანსო ასოციაციის თავმჯდომარეა. არჩილი ჩართულია საქართველოს პარლამენტში ბიზნესისა და ეკონომიკის ცენტრის, საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი "აფხაზეთისა" და ქეთევან დედოფლის ფონდის გამგეობში. არჩილი ფლობს ლანკასტერის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხს. არჩილი არის ჰოლანდიის დევნილთა ფონდის საერთაშორისო პრემიის ლაურეატი (2003 წელი), ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჩივნინგის (2003 წელი) და ჯონ სმიტის ფონდის (2000 წელი) სტიპენდიანტი.

Archil Bakuradze is a Chairman of the Board of Crystal Fund. He is a financier and entrepreneur, Chairman of the Supervisory Board of JSC MFO Crystal, which he started. Since 2013, Archil is elected as a Chairman of the Georgian Microfinance Association. Archil holds non-executive positions in the Business and Economic Centre in the Parliament of Georgia, Charity Humanitarian Center "Abkhazeti" and Queen Ketevan Foundation. For his contribution to the Internally Displaced People, in 2003 he received the international award from the Dutch Refugee Foundation. Archil holds MBA degree from Lancaster University. He is UK FCO Chevening scholar (2003) and a fellow of the John Smith Trust (2000).

ალუ გამახარია
Alu Gamakharia

პროფესიით ინჟინერ-ეკონომისტი, არის ფონდი „კრისტალის“ გამგეობის წევრი დაფუძნებიდან დღემდე. ამავე დროს ის არის საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის "აფხაზეთის" თავმჯდომარე, ასოციაციის "მშვიდობიანი და საქმიანი კავკასია" დირექტორი და ს.ს. "სოხუმის ორგტექნიკის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე. 1974 წლიდან ბატონი ალუ მუშაობდა „სოხუმხელსაწყოს“ სხვადასხვა წამყვან თანამდებობაზე. 1995 წლიდან დღემდე ის ჩართულია ქართულ-აფხაზურ და საერთო-კავკასიურ სამშვიდობო ინიციატივებში. განხორციელებული აქვს მრავალი ბიზნეს-პროექტი, რომლის შედეგადაც მოხდა დაშორებულ თემებს შორის მჭიდრო პირადი და საქმიანი ურთიერთობების ჩამოყალიბება. 2009 წელს მსოფლიო მშვიდობის საერთაშორისო ფედერაციამ მას მშვიდობის ელჩის ტიტული მიანიჭა.

Economist-engineer by profession, is a member of the Board of Crystal Fund from its inception to date. He acts as a Board Chairman of Charity Humanitarian Centre Abkhazeti (CHCA) since 1995, Director of the Association "Peaceful and Business Caucasus" and the Chairman of Supervisory Board of JSC "Orgtechnica". Since 1974 Mr. Alu Gamakharia worked on various positions in the enterprise "Sukhumpribor". From 1995 till today he is involved in Abkhaz-Georgian and trans-Caucasus peace-building initiatives. He has implemented many business projects resulted in building close ties, personal and business bonds between the divided communities. In 2009, the International Federation for World Peace awarded Mr. Alu Gamakharia with a title of the Ambassador of Peace.

ფრედრიკ ჰაიდ-ჩემბერს

Fredrick R Hyde-Chambers OBE

ფონდი „კრისტალის“ გამგეობის წევრი. მან ჩამოაყალიბა ბიზნესისა და პარლამენტის დიალოგის პირველი ცენტრები ბრიტანეთის პარლამენტში, რომელიც დღეს ფუნქციონირებს მრეწველობისა და პარლამენტის ფონდის სახელით და ემსახურება ბრიტანეთის პარლამენტის ორივე პალატას; ის ჩართული იყო ბიზნესისა და პარლამენტის დიალოგის ცენტრების შექმნაში თექვსმეტ ქვეყანაში ახალი ზელანდიიდან, ესპანეთსა და ფინეთამდე. მისი აქტიური მონაწილეობით დაარსდა ანალოგიური დიალოგის ცენტრები სომხეთში, მოლდავათსა და საქართველოში. პარლამენტისა და ბიზნეს საზოგადოებისთვის გაწეული სამსახურისთვის დაჯილდოვებულია ბრიტანეთის იმპერიის ორდენით (2003).

Member of the Board Crystal Fund. He developed the first Business and Parliament Dialogue Centres in the Westminster Parliament, the Industry and Parliament Trust, which is now an established resource for both Houses of Parliament and senior officers of the Westminster Parliament. He has personally advised on the establishment of all the Business and Parliament Dialogue Centres that have been established in sixteen countries ranging from New Zealand to Spain and Finland. With his active participation similar Dialogue Centres were established in Armenia, Moldova and Georgia helping to shape them to the national circumstances and needs. FRHC has received the OBE (2003) for his services to Parliament and the business community.

პაატა წოწონავა

Paata Tsotsonava

ფონდი „კრისტალის“ გამგეობის წევრი და ს.ს. „თიბისი ბანკის“ ქუთაისის ფილიალის დირექტორი 2002 წლიდან დღემდე. 1995-1999 წლებში ბატონი პაატა იყო საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრის “აფხაზეთი” (სჰცა) მიკროსაფინანსო პროგრამების მენეჯერი. მოგვიანებით ის მუშაობდა დანიის დევნილთა საბჭოს შემოსავლების გენერირების პროგრამის ხელმძღვანელად. პაატა წონონავა დაასრულა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი აგროეკონომისტის სპეციალობით.

member of the Board of Crystal Fund and a Director of the Kutaisi Branch of JSC TBC Bank since 2002. In 1995-1999 he worked as a Manager of the Microfinance Programme of the Charity Humanitarian Centre Abkhazeti (CHCA). Later he led the Income Generation Programme of the Danish Refugee Council (DRC). Paata graduated from the Georgian Subtropical Agriculture Institute with qualification of agricultural economist.

აღმასრულებელი დირექტორი

Executive Director

ნიკოლოზ გეგეშიძე

Nikoloz Gegeshidze

ფონდის აღმასრულებელი დირექტორი, სამართალმცოდნე. 2003-2008 წლებში ის მუშაობდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ცენტრალურ ოფისში, ასევე ბათუმისა და ქუთაისის ფილიალებში. 2006-2007 წლებში იყო ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარის მოადგილე. 2008 წელს გახდა ს.ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრისტალის“ იურიდიული განყოფილების მენეჯერი. 2009 წელს არჩერულ იქნა მის კორპორატიულ მდივნად.

Executive Director of Crystal Fund is a lawyer by profession. During years 2003-2008 he worked in the Batumi, Kutaisi and central branches of the Georgia Young Lawyers Association (GYLA). During 2006-2007 he was the Deputy Chairman of Kutaisi Branch of GYLA. In 2008 he became the Manager of Legal Department of the JSC Microfinance Organization “Crystal”. In 2009 he was appointed as its Corporate Secretary.

განხორციელებული პროექტები
Implemented Projects

ფინანსური განათლება
Financial literacy

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის თანახმად ფინანსური განათლება სამხრეთ კავკასიის 3 რესპუბლიკაში საქართველოს ჩათვლით უფრო დაბალია ვიდრე სამხრეთ ამერიკის 3 ყველაზე ღარიბ ქვეყანაში. საზოგადოების უმეტესი ნაწილი არ ენდობა ძირითად ფინანსური პროდუქტებს. ფინანსურ ინდუსტრიაში მონაწილე კორპორატიული კულტურა ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად დაბალია. ასევე სამთავრობო ზედამხედველობის სიმცირე და დამოუკიდებელ კონსულტაციებზე ხელმისაწვდომობის არარსებობა უარყოფითად აისახება ბევრ მომხმარებელზე, რაც საბოლოოდ იწვევს ფინანსურ დანაკარგს, ფინანსურ კრიზისსა და თანმდევ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ სირთულეებს.
ფონდმა დაასრულა ფინანსური განათლების პროექტის პირველი ფაზა, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს მოსახლეობის ფინანსური ცნობიერების ამაღლებასა და მოქალაქეთა ფინანსური უნარების გაუმჯობესებას. პროექტი ფოკუსირდა სამ სფეროზე:

- მომხმარებელთა უფლებების დაცვისა და ფინანსური განათლების სახელმწიფო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები;
- მომხმარებელთა ფინანსურ განათლებაში ფინანსური ინდუსტრიის როლის გაძლიერება; და
- საგანმანათლებლო მასალების გამოცემისა და გავრცელების შესაბამისი მექანიზმის შექმნა ფართო საზოგადოებისთვის მაქსიმალური ხელმისაწვდომობის მიზნით.

პროექტმა მოიცვა ისეთი საკვანძო საკითხები, როგორიცაა: ფინანსური ამოცანების დასმა, ბიუჯეტირება, დაზოგვა, რისკების მართვა, სესხება, ინვესტირება, გადასახადები, პენსიები და მიგრაციასთან დაკავშირებული რისკები.

According to European Bank for Reconstruction and Development (EBRD), the financial literacy of 3 republics of South Caucasus, including Georgia, is lower than the 3 poorest countries of Latin America. The lack of understanding of financial products, which represent "credence goods", still a low corporate culture among financial industry participants, a lack of Government oversight and practical absence of access to independent advice, results in negative experience for many customers, leading to financial loss, financial crisis and accompanying physical and mental suffering.
The Cristal Fund has completed the first phase of the project aimed at enhance the level of financial awareness and improve financial skills among the wide public in Georgia. The project focused on three areas of intervention:

- issues related to public policy concerning consumer protection and education related to financial literacy;
- Strengthening the role and contribution of the financial industry in financial education of customers;
- Produce educational materials and improve distribution channels targeting the wide public.

The issues addressed by the project included: setting financial objectives, budgeting, savings, risk management, borrowing, investment, taxes, pensions, risks related with migration.

სოციალური ინვესტიციების პროექტი
Social investment project

პროექტი მიზნად ისახავდა სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების სხვადასხვა ინიციატივის ფინანსურ მხარდაჭერას მშვიდობის გამყარებიდან, ფინანსური, ეკონომიკური ინტეგრაციის, კანონის უზენაესობისა და ბიზნეს კლიმატის გაუმჯობესების ჩათვლით.

ფონდ "კრისტალმა" დააფინანსა რამოდენიმე სადემონსტრაციო პროექტი:

- კავკასიური სამზარეულოს ფესტივალი კონფლიქტის ზონაში
- ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციის სამშვიდობო დიალოგის პროექტი

The project aims to provide financial support to initiatives ranging from peace building, financial, economic integration of socially vulnerable groups, support of the rule of law and improvement of business climate.

Crystal Fund financed pilot projects:

- Caucasus food festival in the conflict zone
- Women NGO project on peace dialogue

ტექნოლოგიების ინიციატივა
Technologies Initiative

ფულადი გზავნილების მეშვეობით საქართველოს სოფლის ღარიბი მოსახლეობის ჩართულობის პროექტი ფონდ „კრისტალმა“ 2010-2013 წლებში განახორციელა. პროექტი დაფინანსებული იყო IFAD FFR-ის მიერ და მიზნად ისახავდა ფინანსური კმაყოფის ამაღლებას სოფლის ღარიბი მოსახლეობაში - ფინანსური განათლებისა და ფინანსურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მეშვეობით.

“Reaching Georgia's Rural Poor through Mobile Remittances” was implemented by Crystal Fund in 2010-2013. The project was funded by IFAD FFR aiming to enhance the self-reliance of poor rural households through improved financial literacy and access to financial services.

ვებგვერდი
Website

ფონდი "კრისტალის" ვებ-გვერდი უკვე განახლებული სახითაა ხელმისაწვდომი. ის მოიცავს ყველა ძირითად ინფორმაციას ფონდისა და მისი საქმიანობის შესახებ, რაც ემსახურება მისი მიზნების მიღწევას და ასევე შეესაბამება მის ძირითად საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპებს.

Crystal Fund's now updated website includes all the key information about the Fund and its activities and contributes towards its goals as well as its core principles of publicity and the transparency.

პუბლიკაციები
Publications

ფონდი "კრისტალი" თავისი ათწლიანი მოღვაწეობის განმავლობაში აქვეყნებდა სხვადასხვა პუბლიკაციებს. 2013 წელს გამოიცა ფინანსური განათლების გზამკვლევი ქართულ ენაზე. ბროშურა ხელმისაწვდომია ორივე ფორმით - ნაბეჭდი და ელექტრონული სახით. ელექტრონული ვერსიის ჩამოტვირთვა შესაძლებელია ფონდის ვებ-გვერდიდან.

Crystal Fund has published number of publications during almost a decade. One of the most recent publications is the Guide to Financial Literacy in Georgian published in 2013. The Brochure is available in both printed and electronic versions and can be downloaded from the Crystal Fund's web-site.

დაფინანსება
Funding

ფონდი კრისტალის დაფინანსების წყაროს მისი საწესდებო ამოცანების შესასრულებლად წარმოადგენს როგორც დონორებისგან მოზიდული გრანტები, ასევე დამხმარე, არაძირითადი სახის ეკონომიკური საქმიანობიდან (აქციების ფლობა) მიღებული შემოსავალი. ფონდი კრისტალი ფლობს აქციებს ს.ს. მისო „კრისტალში“

For the implementation of its statutory objectives, Crystal Fund was financed by grants from donors as well as through a supportive, secondary economic activity (shareholding). Crystal Fund owns shares in JSC MFO Crystal

სხვადასხვა დროს ფონდი კრისტალის დონორები იყვნენ:

- სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი
- ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტო
- გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარი
- ჰოლანდიის ლტოლვილთა ფონდი
- ქემონიკსი
- ღარიბთა დახმარების საკონსულტაციო ჯგუფი

At various times, the donors of the Crystal Fund were:

- IFAD FFR
- USAID
- UNHCR
- Stichting Vluchteling
- Chemonics
- CGAP

Georgian Audit & Consulting Company
Member Crowe Horwath International

Axis Business Palace, 4th floor
2, D. Gamrekeli Str., Tbilisi 0160, Georgia
+995 32 290 4522 Tel
+995 32 290 4523 Fax
www.gacc.com.ge

INDEPENDENT AUDITOR'S REPORT

To the Board of Directors of "Crystal" Fund:

We have audited the accompanying Financial Statements of "Crystal" Fund, which comprises the Balance Sheet, Funds Accountability Statement, and the Cash Flow Statement prepared as at 31 December 2013, and for the year then ended, and a summary of significant accounting policies and other explanatory notes.

Management is responsible for the preparation and fair presentation of these financial statements in accordance with internationally accepted reporting standards. This responsibility includes designing, implementing, and maintaining internal control relevant to the preparation and fair presentation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error; selecting and applying appropriate accounting policies; and making accounting estimates that are reasonable in the circumstances.

Our responsibility is to express an opinion on these financial statements based on our audit. We conducted our audit in accordance with International Standards on Auditing. Those standards require that we comply with ethical requirements and plan and perform the audit to obtain reasonable assurance whether the financial statements are free from material misstatement.

An audit involves performing procedures to obtain audit evidence about the amounts and disclosures in the financial statements. The procedures selected depend on the auditor's judgment, including the assessment of the risks of material misstatement of the financial statement, whether due to fraud or error. In making those risk assessments, the auditor considers internal control relevant to the entity's preparation and presentation of the financial statements in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of the entity's internal control. An audit also includes evaluating the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates made by management, as well as evaluating the overall presentation of the financial statements.

We believe that the audit evidence we have obtained is sufficient and appropriate to provide a basis for our audit opinion.

In our opinion, the financial statements give a true and fair view of the disbursements made and funds received for the given period, and of its financial performance.

Georgian Audit
& Consulting Company

Georgian Audit and Consulting Company
MemberCrowe Horwath International

March, 2014

"CRYSTAL" FUND

BALANCE SHEET STATEMENT
as of December 31, 2013 *(In GEL)*

	Note	2013	2012
Assets			
Current assets			
Cash	1	173,500	53,043
Receivables from personnel		3,692	(131)
Tax requirements to budget		31,035	14,673
Other current assets		28,038	56,143
Total current assets		**236,265**	**123,729**
Long-term assets			
Fixed assets, net	2	5,776	10,226
Participation in other enterprise	3	1,475,593	1,475,593
Total long-term assets		**1,481,369**	**1,485,819**
Total assets		**1,717,634**	**1,609,547**
Liabilities and Equity			
Current liabilities			
Deferred profit tax		728	728
Liabilities before physical persons		1,328,171	1,328,171
Total current liabilities		**1,328,899**	**1,328,899**
Equity			
Reserves and financing		-	40,225
Last year's accumulated profit		280,648	308,153
Current year's net profit/loss		108,087	(67,729)
Total equity		**388,735**	**280,648**
Total liabilities and equity		**1,717,634**	**1,609,547**

The accompanying notes are an integral part of these financial statements.

"CRYSTAL" FUND

PROFIT AND LOSS STATEMETT
as of December 31, 2013 (In GEL)

	Note	2013	2012
Revenue			
Received dividends		226,088	-
Received Interest		2,857	-
Other revenue		41,459	92,704
Total revenue		**270,404**	**92,704**
Expenses	4		
Other operating expenses		28,857	42,084
Wages		104,308	76,650
Representative expenses		3,117	-
Equipment		568	359
Transporting expense		-	2,155
Communication		2,677	4,656
Utilities		212	
Insurance		1,038	721
Rent		5,844	-
Consultation expenses		5,898	7,837
Depreciation		5,300	12,946
Other tax expenses		-	550
Web-site cost		-	6,780
Other expenses		3,975	206
Non-operating loss		-	317
Interest cost		-	4,730
Other non-operating expenses		525	242
Budget fines and sanctions		-	200
Total expenses		**162,318**	**160,433**
Profit / Loss before taxes		**108,087**	**(67,729)**
Profit tax		**-**	**-**
Accounting period's net profit/loss		**108,087**	**(67,729)**

The accompanying notes are an integral part of these financial statements.

CASH FLOW STATEMENT
as of December 31, 2013 (In GEL)

Cash flow from operating activities	**2013**	**2012**
Accounting period's net profit/loss	**108,087**	**(67,729)**
Other Assets	28,104	-
Tax liabilities	(16,361)	-
Short-term receivables	(3,823)	134
Short-term liabilities	-	46,936
Net cash flow from operating activities	**116,007**	**(20,659)**
Cash flow from investing activities		
Change in fixed assets	4,450	12,946
Changes in investment in other enterprise	-	(1,178,683)
Net cash flows from investing activities	**4,450**	**(1,165,737)**
Cash flow from financial activities		
Liabilities before physical persons	-	1,328,171
Reserves and financing	-	(92,704)
Net cash flow from financial activities	**-**	**1,235,467**
Net cash flow	**120,457**	**49,071**
Cash balance at the beginning of the year	**53,043**	**3,972**
Cash balance at the end of the year	**173,500**	**53,043**

The accompanying notes are an integral part of these financial statements.

სამომავლო გეგმები
Future Plans

ფონდი "კრისტალი" სამომავლო გეგმებს საქართველოს საზოგადოების წინაშე არსებული საჭიროებების მიხედვით ადგენს. ფინანსურ სტაბილურობის ხელშეწყობისა და მათი ფინანსური კეთილდღეობის დამკვიდრების აუცილებლობიდან გამომდინარე ფონდი გააგრძელებს მის ფინანსური განათლების ინიციატივას. პარტნიორების ფართო ქსელისა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან თანამშრომლობით ფონდი "კრისტალი" განაგრძობს მოსახლეობის ფინანსურ განათლებაზე ზრუნვას. უკვე არსებული პროექტების გაგრძელებით და ახალი ინიციატივებით, ფონდი იზრუნებს საქართველოს მოსახლეობისათვის დამოუკიდებელ ფინანსური კონსულტაციებზე ხელმისაწვდომობის გაზრდაზე და ფინანსების მართვის სათანადო კულტურის დამკვიდრებაზე. ფონდი თავის ძალისხმევას მიმართავს ამ მხრივ საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის საქართველოში გადმოტანასა და მის ფართოდ დამკვიდრებაზე.

სოციალური ინვესტივიების კუთხით ფონდი კრისტალი მომართულია გააგრძელოს მშვიდობის მშენებლობის მხარდაჭერა და ასევე გააღრმავოს თავისი პროგრამები, რომელიც მიზნად ისახავს საკუთრების უფლებებისა და ბიზნესის თავისუფლების სფეროში სიტუაციის თვისობრივ გაუმჯობესებას.

Crystal Fund designs its future plans according to the current societal needs, including citizens' ability to achieve their financial stability and sustainable prosperity. Crystal Fund with its wide network of partners and stakeholders will continue to take care of public awareness on key matters of financial literacy. By continuing its ongoing projects and new initiatives the Fund will aim at creation of substantial mechanisms for wider access to independent financial advice for consumers. The Fund will strive to transfer best international practice of financial literacy and its wide application in Georgia.

On Social Investment side Crystal Fund is determined to continue its peace building efforts as well as deepen the programme focused on qualitative improvement of Property Rights and Business Freedoms in Georgia.

© 2013 ფონდი „კრისტალი“
ფონდი „კრისტალის“ საკუთრება, არ შეიძლება ასლის გადაღება მთლიანად ან ნაწილობრივ ფონდის თანხმობის გარეშე

© 2013 Crystal Fund
Property of Crystal Fund. Forbidden to copy in whole or parts without the permission of Crystal Fund

ფონდი კრისტალი
CRYSTAL FUND

მარჯანიშვილის ქ. 5 თბილისი
5 Marjanishvili Street, Tbilisi, Georgia

+995 32 2970128
info@crystalfund.ge
www.crystalfund.ge